საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

12 მარტი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №212/17

-- -- ის 2017 წლის 29 ნოემბრის №-- -- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 28 თებერვლის №212/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2010 წლის 11 ივნისს მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება. მორიგებით საჩივრის ავტორს მიეცა შესაძლებლობა, მისი ძმის უძრავ ქონებაზე მიეშენებინა საცხოვრებელი ფართი. -- -- აცხადებს, რომ თბილისის მერიამ, მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, არ მისცა მას უფლება, აღესრულებინა სასამართლოს გადაწყვეტილება.

ამის შემდგომ, საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა -- -- ის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და 2010 წლის 11 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა. მოსამართლე -- -- მართალია დააკმაყოფილა განცხადება და სათანადოდ განმარტა სადავო გადაწყვეტილება, თუმცა დასაბუთებული გადაწყვეტილების მოპასუხისათვის („მეორე მხარისათვის“) გადაცემა ვერ უზრუნველყო კანონით

განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, 2017 წლის 17 ნოემბერს საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ჩაბარება. მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ დაარღვია კანონიერ ძალაში შესული განჩინების მხარისათვის ჩაბარების ვადა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 24 თებერვალს -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა -- --, მოპასუხე - -- -- მიმართ და სამკვიდროდან წილის ნატურით გამოყოფა და სამკვიდრო წილის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა მოითხოვა. 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით, აღნიშნული საქმეზე შეწყდა წარმოება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო.

2017 წლის 6 ოქტომბერს -- -- ის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება მოითხოვა.

2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით -- -- განცხადება -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა.

-- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საჩივრის ავტორს 2017 წლის 3 ნოემბერს გაეგზავნა. აღნიშნული გზავნილი ადრესატს 2017 წლის 4 ნოემბერს ჩაბარდა.

2017 წლის 17 ნოემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა -- -- ის საქალაქო სასამართლოს და კანონიერ ძალაში შესული 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინების ასლი მოითხოვა.

-- -- (მოპასუხე) განჩინება გაეგზავნა 2017 წლის 20 ნოემბერს. აღნიშნული გზავნილი ადრესატს ჩაბარდა 2017 წლის 21 ნოემბერს

2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება 2017 წლის 29 ნოემბერს კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხე -- --

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ

მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

ამასთან, ამავე ნორმის თანახმად, განცხადებას (სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ) სასამართლო განიხილავს შეტანიდან 1 თვის ვადაში.

განსახილველ შემთხვევაში 2017 წლის 6 ოქტომბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა - -- -- და -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება მოითხოვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, 2010 წლის 11 ივლისის განჩინება საჭიროებდა დამატებით განმარტებას და 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით დააკმაყოფილა მხარის განცხადება. ამდენად, მოსამართლემ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში.

ამასთან, -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება განმცხადებელს (-- --) გაეგზავნა 2017 წლის 3 ნოემბერს. აღნიშნული გზავნილი ადრესატს ჩაბარდა 2017 წლის 4 ნოემბერს. --- -- განჩინება გაეგზავნა 2017 წლის 20 ნოემბერს. მოპასუხეს გზავნილი ჩაბარდა 2017 წლის 21 ნოემბერს. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს - -- -- დასაბუთებული განჩინება ჩაბარდა განცხადების წარდგენიდან განცხადების განხილვისათვის გათვალისწინებულ ერთი თვის ვადაში (განცხადება სასამართლოს წარედგინა 6 ოქტომბერს), ხოლო მოპასუხეს გაეგზავნა და ჩაბარდა 2 კვირის შემდეგ ანუ 2017 წლის 20 ნოემბერს, რასაც არ მოყოლია რომელიმე მხარის უფლების არსებითი დარღვევა, მათ შორის გასაჩივრების უფლების რაიმე ფორმით შეზღუდვა, განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენის ფაქტი. მართალია, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოპასუხისათვის ორი კვირის დაგვიანებით განჩინების გაგზავნა მოსამართლის განზრახვით მოხდა, თუმცა, ამ მოსაზრების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის.

ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 2017 წლის 17 ნოემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და კანონიერ ძალაში შესული 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინების ასლი მოითხოვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში: ა) გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება; ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული; გ) სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა; დ) თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეს 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება ჩაბარდა 2017 წლის 21 ნოემბერს. 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებაში მითითებული გასაჩივრების 12 დღიანი ვადის ათვლა ამ თარიღიდან უნდა დაწყებულიყო. შესაბამისად, 2017 წლის 17 ნოემბერს ხსენებული განჩინება არ იყო შესული კანონიერ ძალაში და სასამართლო ვერ დააკმაყოფილებდა საჩივრის ავტორის მოთხოვნას მისი როგორც კანონიერ ძალაში შესული განჩინების გადაცემის თაობაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13

ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №212/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი